

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ე ნ ი

შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2025

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი ინფორმაცია	11
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	11
3. მომზადების საფუძველი	11
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
6. სავაჭრო მოთხოვნები	21
7. მარაგები	21
8. გაცემული სესხები	22
9. სხვა მიმდინარე აქტივები	22
10. ძირითადი საშუალებები	22
11. სავაჭრო ვალდებულებები	23
12. მიღებული სესხები	24
13. წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები	24
14. ამონაგები	25
15. თვითღირებულება	25
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	26
17. საპროცენტო ხარჯები	26
18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - მიღებული სესხები	26
19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები	27
20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - დივიდენდები	27
21. შესადარისი პერიოდის ცვლილებები	27
22. კაპიტალის მართვა	28
23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	29
24. რისკების მართვა	29
25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	32
26. გაუთვალისწინებელი გარემოებები	33
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	34

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2024 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი ----- გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი ----- ია გვარჯალაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის მენეჯმენტს და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი - 405146104) (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 3

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

თბილისი, საქართველო

09 სექტემბერი 2025 წელი

შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	661 078	442 779	5
სავაჭრო მოთხოვნები	649 295	691 744	6
მარაგები	799 223	875 664	7
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	319 975	-	8
სხვა მიმდინარე აქტივები	398 059	4 511	9
მოკლევადიანი აქტივები სულ:	2 827 630	2 014 698	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	932 905	956 576	10
გრძელვადიანი აქტივები სულ:	932 905	956 576	
აქტივები სულ:	3 760 535	2 971 274	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	215 673	424 730	11
მოკლევადიანი სესხები	-	134 470	12
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	23 081	20 063	12
საგადასახადო ვალდებულებები	53 395	22 595	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 043	2 720	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	298 192	604 578	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	1 041 178	44 807	12
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	1 041 178	44 807	
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	1 128 139	1 128 139	
დამატებითი შენატანები კაპიტალში	540 651	-	
გაუნაწილებელი მოგება	752 374	1 193 750	
კაპიტალი სულ:	2 421 164	2 321 889	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3 760 535	2 971 274	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი ----- გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი ----- ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები	3 275 513	3 502 602	14
თვითღირებულება	(1 997 795)	(2 219 549)	15
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 277 718	1 283 053	
ცვეთა და ამორტიზაცია	(14 427)	(12 823)	
კომუნალური ხარჯები	(8 526)	(8 888)	
შრომის ანაზღაურება	(425 635)	(556 806)	
საგადასახადო ხარჯები	(7 692)	(6 875)	
მივლინების ხარჯები	(44 074)	(42 982)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(215 479)	(266 214)	16
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	561 885	388 464	
საპროცენტო შემოსავლები	2 052	-	
საპროცენტო ხარჯები	(22 753)	(13 108)	17
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	9 406	7 938	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	16 076	25 109	
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	4 782	19 940	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	566 667	408 404	
მოგების გადასახადი	(151 207)	(48 375)	
მოგება დაბეგვრის შემდეგ	415 461	360 029	
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	415 461	360 029	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი ----- გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი ----- ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	3 762 655	3 746 258	
მიმწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2 668 462)	(2 059 242)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(411 688)	(509 616)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(44 074)	(42 982)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	3 500	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(509 737)	(529 714)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(151 207)	(48 375)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(7 102)	(6 031)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(29 614)	553 798	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(7 000)	(198 282)	
სესხების გაცემა	(325 037)	-	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	2 052	4 015	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(329 984)	(194 267)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	1 771 585	131 051	18
სესხების დაფარვა	(427 943)	(140 709)	18
გადახდილი პროცენტები	(6 390)	(13 108)	19
გადახდილი დივიდენდები	(813 995)	(260 418)	20
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	523 257	(283 184)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	54 640	(3 097)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	218 299	73 250	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	442 779	369 529	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	661 078	442 779	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი ----- გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი ----- ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებულ იკაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	1 128 139	-	1 107 846	2 235 985
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	360 029	360 029
განაწილებული დივიდენდები	-	-	(274 125)	(274 125)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-თვის	1 128 139	-	1 193 750	2 321 889
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	415 461	415 461
განაწილებული დივიდენდები	-	-	(856 837)	(856 837)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	540 651	-	540 651
ნაშთი 31.12.2024-თვის	1 128 139	540 651	752 374	2 421 164

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი ----- გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი ----- ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ეკო რესურს ნატექ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2016 წლის 18 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405146104. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #29.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელი იყო - დავით ორაგველიძე.

2025 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელია - გიორგი ანდლულაძე.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს კვების მრეწველობის დარგში, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები დანამატებით (საღებავები) საბითუმო ვაჭრობა და წარმოება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

სერგეი დემენოვი (4005533705) - 51.01%,
რამაზ ანდლულაძე (01010000271) – 48.99%.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“)

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულო არ არის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

დ) გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი / 1 USD	2.8068	2.6894
ლარი / 1 EUR	2.9306	2.9753
ლარი / 10 CNY	3.8452	3.7819

წლის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

	2024 წელი	2023 წელი
ლარი / 1 USD	2.7208	2.6279
ლარი / 1 EUR	2.9440	2.8416
ლარი / 10 CNY	3.7812	3.7124

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები,

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (პირვანდელი ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (პირვანდელი ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურის ვადა კონკრეტული ძირითადი საშუალებისათვის არ არის დადგენილი, მაშინ ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების შესაბამისი ჯგუფისთვის ქვემოთ მოყვანილი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით. კომპანიამ 2023 წელს სააღრიცხვო პოლიტიკაში შეიტანა ცვლილებები - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის კუთხით, კერძოდ უძრავი ქონების სასიცოცხლო ვადა გაიზარდა 50 წლამდე. კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა	
შენობები	- 50 წელი
მანქანა-დანადგარები	-10-20 წელი
მსუბუქი ავტომობილები	- 5 წელი
ინვენტარი	- 5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 4 წელი
შეზღუდულვადაიანი არამატერიალური აქტივები	- 5 წელი

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20% (5 წელი);

არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასებისთვის/აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს ამორტიზებულ ღირებულებას.

კომპანიის მიზანია ფინანსური აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივს, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 1%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

ვადაგადაცილების დღეები	0-90	91-180	181-270	271-365	>365
რეზერვის პროცენტული მაჩვენებელი	1%	8%	20%	40%	100%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული კომპანიის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ. 1 წლით ან მეტი ვადით გადახდილ სავაჭრო ავანსებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით.

მ) კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი და დამატებითი შენატანები კაპიტალში.

ნ) აქტივების გაუფასურება

კომპანია ეწევა ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

პ) ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

• შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

• ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული)

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	5 036	2 183
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	656 042	440 596
	661 078	442 779

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ორ კომერციულ ბანკში - სს „პროგრედიტ ბანკი“ და სს „თიბისი ბანკი“.

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები ლარში	384 246	382 669
სავაჭრო მოთხოვნები ვალუტაში	313 837	341 270
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(48 789)	(32 195)
	649 295	691 744

ანარიცხი 31.12.2022	17 400
2023 შემცირება გადახდის შედეგად	(6 169)
2023 გაზრდა	20 964
ანარიცხი 31.12.2023	32 195
2024 შემცირება გადახდის შედეგად	(1 286)
2024 გაზრდა	17 880
ანარიცხი 31.12.2024	48 789

7. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
გასაყიდად გამიზნული საქონელი	197 352	391 531
მზა პროდუქცია	47 115	48 955
ნედლეული	428 825	424 406
სხვა მარაგები	16 887	10 773
საქონელი გზაში	109 044	-
	799 223	875 664

8. გაცემული სესხები

კომპანიამ გასცა უპროცენტო სესხი 1 თვის ვადით 2024 წლის დეკემბრის თვეში. აღნიშნული სესხის დაფარვა მოხდა ბალანსის შემდგომ პერიოდში, 1 თვის ვადაში.

სესხის მიმღები	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის ვადა (თვე)	დენომინირების ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის მოცულობა (ხელშეკრულებით)	თანა ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით	გაცვლითი კურსი 31/12/2024-სთვის	თანა ეროვნულ ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით
შპს შვიდი მითი	13.12.2024	31.12.2025	01.01.1900	USD	0%	\$ 114 000.00	\$ 114 000.00	2.8068	319 975
319 975									

9. სხვა მიმდინარე აქტივები

კომპანიის სხვა მიმდინარე აქტივების უდიდესი ნაწილი - 395,933 ლარი შეადგენს მომწოდებლისათვის გადახდილ ავანსს.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სულ
პირვანდელი ღირებულება							
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამატება (გასვლა)	213 077	642 043	277 242	16 864	13 036	-	1 162 261
სულ პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	642 043	277 242	20 311	13 036	3 552	13 036
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	-	(148 220)	(39 994)	(4 596)	(12 875)	-	(205 685)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(12 841)	(13 862)	(3 777)	(161)	(30)	(30 671)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	480 982	223 386	11 937	-	3 523	932 905
პირვანდელი ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამატება (გასვლა)	213 077	642 043	84 215	15 680	13 289	9 140	977 443
სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	193 027	5 287	4	-	198 317
სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	(4 103)	(257)	(9 140)	(13 499)
სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	642 043	277 242	16 864	13 036	-	-
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	-	(138 142)	(31 740)	(5 553)	(12 517)	(7 007)	(194 959)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(10 078)	(8 254)	(2 597)	(885)	(1 676)	(23 490)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	3 554	528	8 683	12 764
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(148 220)	(39 994)	(4 596)	(12 875)	-	(205 685)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	493 823	237 248	12 267	161	-	956 576

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	480 982	223 386	11 937	-	3 523	932 905
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213 077	493 823	237 248	12 267	161	-	956 576

კომპანიასა და ბანკს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება. იპოთეკის საგანია:

1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.003.064.01.001, მისამართი - ქ.თბილისი, ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა #54, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი:3150 კვ.მ., შენობა-ნაგებობები:#1 საერთო ფართი-1797.70კვ.მ., #2 კომპანიის საკუთრება: ფართი #1, სართული 1, ფართი:535.61კვ.მ., აღნიშნული ქონების ღირებულებაა 385,641 ლარი.

2. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.003.064.01.005, მისამართი - ქ.თბილისი, ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა #54, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი:3150 კვ.მ., შენობა-ნაგებობები:#1 საერთო ფართი-1797.70კვ.მ., #2 კომპანიის საკუთრება: ფართი #5, სართული 3, ფართი:32.37კვ.მ., აღნიშნული ქონების ღირებულებაა 22,502 ლარი.

კომპანიის უძრავ ქონებაზე, კერძოდ - მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.003.064.01.004, მისამართი - ქ.თბილისი, ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა #54, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი:3150 კვ.მ., შენობა-ნაგებობები:#1 საერთო ფართი-1797.70კვ.მ., #2 კომპანიის საკუთრება: ფართი #4, სართული 2, ფართი:104.78კვ.მ., რომლის ღირებულება შეადგენს 72,839 ლარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.11.2018 წლის N2/32223-18 განჩინების საფუძველზე ვრცელდება აკრძალვა აღნიშნული ქონების გასხვისებასა და იპოთეკით დატვირთვის თაობაზე. კომპანიის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რეგისტრირებულია გირავნობა/ლიზინგის უფლება. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ყველა სახის წარმოება დასრულდა, რჩება მხოლოდ ტექნიკური საკითხები დასასრულებელი, რის შემდეგაც კომპანიის ქონებაზე მოიხსნება გირავნობა/ლიზინგის უფლება.

11. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები ლარში	90 446	207 045
სავაჭრო ვალდებულებები ვალუტაში	125 227	217 686
	<u>215 673</u>	<u>424 730</u>

12. მიღებული სესხები

კომპანიამ 2022 წლის ოქტომბრის თვეში დამტკიცებული აქვს სესხი სს „პროგრედიტ ბანკისგან“ 285,000 ლარის ოდენობით, საიდანაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ათვისებული აქვს 85,000 ლარი. სესხის სრულ პერიოდზე წლიური საპროცენტო განაკვეთი - ინდექსირებული, 13.7% წლიური, რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 2.70%. სესხის ვადა 48 თვე. სესხის თანადაფინანსების და ამ სესხზე საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

კომპანიის მიღებული სესხების სტრუქტურა შემდეგია:

სესხის გამცემი	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის ვადა (თვე)	დენომინირების ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის მოცულობა (ხელშეკრულებით)	თანა ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით	გაცვლითი კურსი 31/12/2024-სთვის	თანა ეროვნულ ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით
სერგი დემნოვი	22.10.2024	22.10.2029	60	USD	0%	\$ 500 000.00	\$ 500 000.00	2.8068	1 403 400
სერგი დემნოვი	22.10.2024	22.10.2029	60	USD	0%	\$ 500 000.00	\$ (186 792.00)	2.8068	(524 288)
სერგი დემნოვი	07.11.2024	07.11.2029	60	USD	0%	\$ 50 000.00	\$ 50 000.00	2.8068	140 340
სს პროგრედიტ ბანკი	21.11.2022	21.10.2026	48	GEL	13.70%	85 000.00 ლ	44 807.12 ლ	1.0000	44 807
									1 064 259

სესხის გამცემი	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის ვადა (თვე)	დენომინირების ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის მოცულობა (ხელშეკრულებით)	თანა ვალუტაში 31/12/2023-ის მდგომარეობით	გაცვლითი კურსი 31/12/2023-სთვის	თანა ეროვნულ ვალუტაში 31/12/2023-ის მდგომარეობით
სერგი დემნოვი	14.08.2023	14.08.2024	12	USD	0%	\$ 50 000.00	\$ 50 000.00	2.6894	134 470
სს პროგრედიტ ბანკი	21.11.2022	21.10.2026	48.00	GEL	13.70%	85 000.00 ლ	64 869.77 ლ	1.0000	64 870
									199 340

კოვენანტები: კომპანია ექვემდებარება გარკვეულ პირობებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სს „პროგრედიტ ბანკისგან“ აღებულ სესხებთან. ასეთი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაურღვევია არცერთი ფინანსური შეთანხმება. ამიტომ, სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, სახელშეკრულებო დაფარვის თავდაპირველი გრაფიკის საფუძველზე.

13. წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო გადასახადები.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2024	31.12.2023
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ		
დადეკლარირებული ან	55 562	24 865
დასადეკლარირებელი გადასახადები		
ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე	(2 167)	(2 270)
	53 395	22 595

14. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	2 563 223	2 856 886
შემოსავალი ექსპორტიდან	712 290	645 716
	3 275 513	3 502 602

15. თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(1 872 754)	(2 110 419)
ხელფასი თვითღირებულებაზე	(92 305)	(94 979)
ცვეთის ხარჯები თვითღირებულებაზე	(16 244)	(10 773)
ტრანსპორტის ხარჯები	(13 256)	-
კომუნალური	(3 235)	(3 378)
	(1 997 795)	(2 219 549)

კომპანია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯებში ასახვას ახორციელებს მარაგების ჩამოწერის საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდით.

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
დამხმარე მასალების ხარჯები	(13 945)	(21 756)
მარკეტინგული ხარჯები	(53 306)	(16 856)
იურიდიული მომსახურების ხარჯები	(7 000)	(6 000)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(12 000)	(12 000)
გადახდილი როიალტი	(35 060)	(81 066)
საბანკო ხარჯები	(7 164)	(5 780)
აისოს ხარჯი	(6 250)	(4 004)
რემონტის ხარჯები	(17 753)	(22 130)
მარაგების გაუფასურების ხარჯები	(839)	(15 657)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯები	(16 594)	(14 795)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1 843)	(4 209)
სხვა ხარჯები	(43 725)	(61 960)
	(215 479)	(266 214)

17. საპროცენტო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ბანკის პროცენტები	(6 390)	(13 108)
დამფუძნებლის სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	(16 364)	-
	(22 753)	(13 108)

ნასესხები სახსრები შემდგომში კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შესაბამისი საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია წინამდებარე შენიშვნაში.

ნასესხები სახსრების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოეწურება გადა).

**18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება
ვალდებულებების მოძრაობასთან - მიღებული სესხები**
2024 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	64 870	(20 063)	-	-	-	-	-	44 807
სასესხო ვალდებულება არაფინანსური ინსტიტუტების წინაშე	134 470	(407 880)	(524 288)	(1 590)	1 771 585	-	47 155	1 019 452
სულ:	199 340	(427 943)	(524 288)	(1 590)	1 771 585	-	47 155	1 064 259

შპს „ეკო რესურს ნატექ“

გამმართველთა შინაგარეშე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2023 წელი

სასესიო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამაციებით ან გადაკისრებით	დადებითი საკურო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება რეკლამაციებით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
სასესიო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	207 805	(140 709)	-	(2 225)	-	-	-	64 870
სასესიო ვალდებულება არაფინანსური ინსტიტუტების წინაშე	-	-	-	-	131 051	-	3 419	134 470
სულ:	207 805	(140 709)	-	(2 225)	131 051	-	3 419	199 340

19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები

2024 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულების აღება რეკლამაციებით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(6 390)	-	-	6 390	-	-	-
სულ:	-	(6 390)	-	-	6 390	-	-	-

2023 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულების აღება რეკლამაციებით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(13 108)	-	-	13 108	-	-	-
სულ:	-	(13 108)	-	-	13 108	-	-	-

20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - დივიდენდები

2024 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
გადასახდელი დივიდენდები	-	(813 995)	(42 842)	-	856 837	-	-
სულ:	-	(813 995)	(42 842)	-	856 837	-	-

2023 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
გადასახდელი დივიდენდები	0	(260 418)	(13 706)	-	274 125	-	-
სულ:	0	(260 418)	(13 706)	-	274 125	-	-

21. შესადარისი პერიოდის ცვლილებები

კომპანიამ 2024 წელს წარადგინა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება შესადარის პერიოდთან ერთად (2022 წელი). საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება შეეტანა შეცდომით გამოწვეული ცვლილებები შესადარისი პერიოდის მონაცემებში. აღნიშნული ცვლილებები შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აჯამებულია აღნიშნული ცვლილების გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა			
31.12.2023 წელი	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
მოკლევადიანი სესხები	-	(134 470)	134 470
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	470 108	(134 470)	604 578
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	179 277	134 470	44 807
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	1 119 493	(134 470)	1 253 963

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა			
2023 წელი	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2 208 776)	(10 773)	(2 198 003)
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 293 826	(10 773)	1 304 599
ცვეთა და ამორტიზაცია	(23 597)	10 773	(34 370)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	388 464	-	388 464

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა			
2023 წელი	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
ცვეთის ხარჯები თვითღირებულებაზე	-	10 773	(10 773)
	(2 208 776)	10 773	(2 219 549)

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოახდინა რეკლასიფიკაცია გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს შორის და ასევე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ცვეთის ხარჯების რეკლასიფიკაცია თვითღირებულების ხარჯებში. რეკლასიფიკაცია არ ახდენს არსებით გავლენას წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შესაბამისად, ამიტომაც არ მოხდა მესამე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა.

22. კაპიტალის მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად, ან გარდაქმნას მფლობელისგან მიღებული ნასესხები სახსრები კაპიტალში.

23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

24. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სასესხო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ამასთან, საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით. კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2024 წელი	USD	EUR	CNY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	526 705	2 750	488	529 944
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	209 447	104 390	-	313 837
გაცემული სესხები	319 975	-	-	319 975
აქტივები სულ:	1 056 127	107 141	488	843 781
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(122 423)	(2 791)	-	(125 214)
გრძელვადიანი სესხები	(1 019 452)	-	-	(1 019 452)
ვალდებულებები სულ:	(1 141 875)	(2 791)	-	(1 144 666)
ნეტო შედეგი	(85 748)	104 349	488	(300 885)
USD (10% ცვლილება)	(8 575)			
EUR (10% ცვლილება)	10 435			
CNY (10% ცვლილება)	49			

2023 წელი	USD	EUR	CNY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	40 456	223 947	-	264 403
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	265 029	76 241	-	341 270
გაცემული სესხები	-	-	-	-
აქტივები სულ:	305 485	300 188		605 672
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(161 160)	(56 462)	-	(217 622)
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	-
ვალდებულებები სულ:	(161 160)	(56 462)	-	(217 622)
ნეტო შედეგი	144 325	243 726		388 051
USD (10% ცვლილება)	14 433			
EUR (10% ცვლილება)	24 373			
CNY (10% ცვლილება)				

25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორებთან

	31.12.2024	31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
სასესხო ვალდებულება	(1 019 452)	(134 470)		
საპროცენტო ხარჯები			(16 364)	-
გადახდილი დივიდენდები			(856 837)	(274 125)

განხორციელებული ტრანზაქციები მირითად მენეჯმენტთან

	31.12.2024	31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი			(157 791)	(200 468)
მივლინების ხარჯები			(5 954)	(2 620)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	31.12.2024	31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	53 572	11 160		
გაცემული სესხები	319 975	-	(325 037)	-
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(120 159)	(365 615)		
ამონაგები			18 324	28 259
მარაგების და ძს შესყიდვა			(724 728)	(1 764 920)
მომსახურების ხარჯები			(35 259)	(77 013)

კომპანიას მიღებული აქვს უპროცენტო სესხი ერთ-ერთი დამფუძნებლისგან - სერგეი დემენოვისგან 550,000 აშშ დოლარის ოდენობით, სესხის ვადა 5 წელი.

26. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავა.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 28 თებერვალს კომპანიის ხელმძღვანელი გახდა გიორგი ანდლულაძე.

კომპანიამ წარმოების გაფართოვების მიზნით, 2025 წლის 19 თებერვალს შეიძინა სამი უძრავი ქონება, კერძოდ:

- შენობა_ფართი#2_ხელაშვილის 54_3150კვ.მ._სართ1_524.07კვ.მ._01.10.07.003.064.01.002.
- შენობა_ფართი#3_ხელაშვილის 54_3150კვ.მ._სართ2_214.52კვ.მ._01.10.07.003.064.01.003.

შპს „ეკო რესურს ნატექ“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- შენობა_ფართი#6_ხელაშვილის 54_3150კვ.მ._სართ3_159.15კვ.მ._01.10.07.003.064.01.006.
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 09 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2024 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი



გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი



ია გვარჯალაძე



შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	661 078	442 779	5
სავაჭრო მოთხოვნები	649 295	691 744	6
მარაგები	799 223	875 664	7
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	319 975	-	8
სხვა მიმდინარე აქტივები	398 059	4 511	9
მოკლევადიანი აქტივები სულ:	2 827 630	2 014 698	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	932 905	956 576	10
გრძელვადიანი აქტივები სულ:	932 905	956 576	
აქტივები სულ:	3 760 535	2 971 274	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	215 673	424 730	11
მოკლევადიანი სესხები	-	134 470	12
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	23 081	20 063	12
საგადასახადო ვალდებულებები	53 395	22 595	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 043	2 720	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	298 192	604 578	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	1 041 178	44 807	12
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	1 041 178	44 807	
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	1 128 139	1 128 139	
დამატებითი შენატანები კაპიტალში	540 651	-	
გაუნაწილებელი მოგება	752 374	1 193 750	
კაპიტალი სულ:	2 421 164	2 321 889	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3 760 535	2 971 274	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი

გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი

ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები	3 275 513	3 502 602	14
თვითღირებულება	(1 997 795)	(2 219 549)	15
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 277 718	1 283 053	
ცვეთა და ამორტიზაცია	(14 427)	(12 823)	
კომუნალური ხარჯები	(8 526)	(8 888)	
შრომის ანაზღაურება	(425 635)	(556 806)	
საგადასახადო ხარჯები	(7 692)	(6 875)	
მივლინების ხარჯები	(44 074)	(42 982)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(215 479)	(266 214)	16
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	561 885	388 464	
საპროცენტო შემოსავლები	2 052	-	
საპროცენტო ხარჯები	(22 753)	(13 108)	17
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	9 406	7 938	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	16 076	25 109	
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	4 782	19 940	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	566 667	408 404	
მოგების გადასახადი	(151 207)	(48 375)	
მოგება დაბეგვრის შემდეგ	415 461	360 029	
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	415 461	360 029	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი

გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი

ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	3 762 655	3 746 258	
მიმწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2 668 462)	(2 059 242)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(411 688)	(509 616)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(44 074)	(42 982)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	3 500	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(509 737)	(529 714)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(151 207)	(48 375)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(7 102)	(6 031)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(29 614)	553 798	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(7 000)	(198 282)	
სესხების გაცემა	(325 037)	-	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	2 052	4 015	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(329 984)	(194 267)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	1 771 585	131 051	18
სესხების დაფარვა	(427 943)	(140 709)	18
გადახდილი პროცენტები	(6 390)	(13 108)	19
გადახდილი დივიდენდები	(813 995)	(260 418)	20
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	523 257	(283 184)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	54 640	(3 097)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	218 299	73 250	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	442 779	369 529	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	661 078	442 779	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი

გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი

ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ეკო რესურს ნატექ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	განთავსებულ იკაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	1 128 139	-	1 107 846	2 235 985
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	360 029	360 029
განაწილებული დივიდენდები	-	-	(274 125)	(274 125)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-თვის	1 128 139	-	1 193 750	2 321 889
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	415 461	415 461
განაწილებული დივიდენდები	-	-	(856 837)	(856 837)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	540 651	-	540 651
ნაშთი 31.12.2024-თვის	1 128 139	540 651	752 374	2 421 164

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 09 სექტემბერს:

დირექტორი

გიორგი ანდლულაძე

მთ. ბუღალტერი

ია გვარჯალაძე

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.





შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის მენეჯმენტს და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი - 405146104) (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

- 6